რაჯივ ჯოზეფი

შემზარავი ტრავმები სათამაშო მოედანზე

თარგმნა თამარ დვალმა

მოქმედი პირები:

კაილინი: წლები 8-38

დაგი: წლები 8-38

მოქმედება:

სხვადასხვა ადგილებში 30 წლის განმავლობაში

შენიშვნა:

სცენებს შორის ყველა გადასვლა მსახიობებმა უნდა გააკეთონ და მათ მიერ სცენის შეცვლა უნდა მოხდეს აუჩქარებლად და მშვიდად. კოსტიუმების ცვლილება უნდა მოხდეს სცენაზე. არ არის საჭირო ამ ქმედების დამალვა მაყურებლისგან. მნიშვნელოვანია გამოვაჩინოთ დაგის მიერ ჭრილობის შეხვევის მომენტი ან იმ მაკიაჟის გამოყენება რომელიც მის დაზიანებებს გვაჩვენებს. გადასვლების ხანგრძლივობა მინიშნებაა დროის დიდი მონაკვეთის პერსონაჟების ცხოვრებაში. ყოველ სცენა ან 15 წლით წინ ხდება, ან 10 წლით უკან.

ზოგჯერ დიალოგის დროს არის კითხვები, მაგრამ არ დაესმის კითხვის ნიშანი. კითხვის ნიშნის არარსებობა მიზანმიმართულია. როდესაც წინადადების ბოლოს კითხვას არ დაესვის კითხვის ნიშანი, წინდადება უნდა წარმოითქვას თანაბრად, არა კითხვით ტონალობაში.

სცენა 1: 8 წლის; გახლეჩილი სახე

მედდის ოთახი სკოლაში. ორი საწოლი ერთმანეთის საპირისპიროდ.

კაილინი, 8 წლის, ერთ-ერთ საწოლზე წევს, თუმცა არ სძინავს. ის მატრას ხელების რტყმას უწყებს რიტმულად. ჩერდება. წამოჯდება. ლოგინზე დგება. ცოტა წაიხტუნავებს, შემდეგ კი ჩერდება.

ხმა მოესმის გარედან რომ ვიღაც მოემართება. კაილინი ლოგინზე წვება და თავს იკატუნებს ვითომ სძინავს.

შემოდის დაგი, 8 წლის. სახე გადახვეული აქვს. ბინტში დიდი სისხლგროვა მოჩანს. ცოტა დარეტიანებულად გამოიყურება, თუმცა არ ტირის.

მეორე საწოლის კიდეზე ჯდება და კაილინს მიაშტერდება. კაილინი წამოჯდება.

კაილინი: რა მოგივიდა სახეზე?

დაგი: დავეცი

კაილინი: რატომ..

დაგი: არ ვიცი

კაილინი: გტკივა?

დაგი: ცოტათი.

კალინი: მე მუცელი მტკივა. ხანდახან საჭმელი მატკიებს ხოლმე. დედა მეუბნება რომ ეს იმიტომ მემართება რომ ცუდი აზრები მიტრიალებს თავში.

დაგი: მაინც როგორი?

კაილინი: ცუდი აზრები.

დაგი: მაგალითად დრაკულაზე?

კაილინი: მუცელზე.

დაგი: მე ცუდი აზრები მაქვს დრაკულაზე.

კაილინი: ხო.

დაგი: სისხლს სასაცილო გემო აქვს. ისეთი როგორც ხილს.

კაილინი: ხილის გემო არ აქვს.

დაგი: ოდესმე სახე გაგიჭრია?

კაილინი: არა

დაგი: მე შემთხვევით სულ რაღაც მემართება.

კაილინი: მომწონს ექთნის ოფისი. სიწყნარეა და სიბნელე.

დაგი: მე მუცელი მტკიოდა როცა ფილმის სანახავად წავედი.

კაილინი: მე მიყვარს ფილმები, გარდა მაშინ როცა გამოვდივარ და მზეა.

დაგი: სამი დიდი კოკა კოლა მქონდა და საღეჭი ჭიები. მიყვარს მათი ყლაპვა თითქოს ნამდვილი ჭიები იყოს.

კაილინი: ამდენი სისხლი რატომ გდის?

დაგი: იმიტომ რომ დავეცი.

კაილინი: რატომ დაეცი?

დაგი: სახურავიდან ველოსიპედით გადმოვარდი.

კაილინი: რომელი სახურავიდან?

დაგი: ამ სახურავიდან.

კაილინი: სკოლის სახურავიდან?

დაგი: კი.

კაილინი: რატომ.

დაგი: იველ კნიველ-ს ვთამაშობდი

კაილინი: იველ კნიველი რა არის?

დაგი: მოტოციკლისტია. ასე გავიხლიჩე სახე.

კაილინი: შენი სახე გახლეჩილი არ არის, უბრალოდ გაჭრილია.

დაგი: დედაო მერი პატმა მითხრა რომ სახე გავიხლიჩე.

კაილინი: გტკივა?

დაგი: ერთხელ ჩემ ძმებთან ერთად სასრიალოდ წავედი. ყინულზე დავეცი და გოგო იყო იქ, რომელმაც ახლოს ჩამისრიალა, მისმა საციგურაო ფეხსაცმელმა ქუთუთო გადამიხსნა და თვალიდან სისხლი წამომივიდა. ვერაფერს ვხედავდი იმდენი სისხლის გამო.

კაილინი: გეტკინა?

დაგი: არა, იმიტომ რომ ქუთუთო პატარაა მიუხედავად იმისა რომ იქ ბევრი სისხლია. თვალზე შრამიც კი დამრჩა. გოგოებს არ აქვთ შრამები.

კაილინი: გვაქვს.

დაგი: როგორ?

კაილინი: თუ სახურავიდან ველოსიპედით გადმოვარდი, სახურავზე როგორ აიტანე ველოსიპედი?

დაგი: ხეზე ავძვერი.

კაილინი: ხეზე აიტანე შენი ველოსიპედი?

დაგი: ჰო.

კაილინი: რატომ.

დაგი: იმიტომ რომ იქიდან მინდოდა დამეგაზა.

კაილინი: და შემდეგ სახურავიდან დაძარი შენი ველოსიპედი?

დაგი: ხო

პატარა პაუზა

კაილინი: დებილი ხარ.

დაგი: არ ვარ

კაილინი: ხარ.

დაგი: მოკეტე.

კაილინი: შენ მოკეტე.

ხანგრძლივი სიჩუმე

კაილინი: ერთხელ მუცლის ტკივილის გამო ვარწყიე და ისე ვარწყიე რომ ერთ-ერთი თვალი ჩამისიხსლიანდა.

დაგი: რატომ.

კაილინი: იმიტომ რომ ისე ძლიერად ვარწყიე რომ სისხლი მქონდა თვალში.

დაგი: გეტკინა?

კაილინი: არა, მაგრამ წითელი იყო. მგრძნობიარე მუცელი მაქვს, ექიმმა მითხრა. სახურავზე ანგელოზია.

დაგი: არ არის.

კაილინი: არის. ქანდაკებაა. უნდა წახვიდე ექიმის მოსანახულებლად?

დაგი: ჰო რომ გამკეროს. მომწონს ნაკერები.

კაილინი: რატომ.

დაგი: გრძნობ რომ შენი კანი იჭიმება.

კაილინი: მტკივნეულია?

დაგი: ხო.

კაილინი დგება და ოთახში იწყებს სიარულს.

კაილინი: ეს ოთახი დილეგივით არის.

დაგი: დილეგი რა არის?

კაილინი: ოთახი ციხესიმაგრეში, სადაც ადამიანები არიან გამოკეტილი.

დაგი: ოჰ

კაილინი: ციხესიმაგრის დანარჩენი ნაწილი ხმაურიანია და მკვეთრი განათებები აქვს, დროშები და კიდევ ცხელი ზეთი, ომების გამო. მაგრამ დილეგი არის ადგილი სადაც ადამიანები არიან გამოკეტილი, სიჩუმეში და სიწყნარეში.

დაგი: (მოულოდნელად ატკივდება) აუ!

კაილინი: რა?

დაგი: სახე მტკივა. გავიხლიჩე.

კაილინი: არ გაგიტეხავს. უბრალოდ გაჭრილი გაქვს. შეიძლება ვნახო?

დაგი: რა?

კაილინი: შეიძლება ჭრილობა ვნახო?

დაგი: რატომ.

კაილინი: შეიძლება?

დაგი ნელ-ნელა მოიხსნის სახვევს და ღრმა ჭრილობას გამოაჩენს.

კაილინი დიდხანს უყურებს ჭრილობას. დაგი კი უყურებს კაილინის რომელიც მის ჭრილობას უყურებს.

კაილინი: გტკივა?

დაგი: ცოტათი.

კაილინი განაგრძობს ჭრილობის ყურებას დაგი კი მისას.

დაგი: შენ თვალში სისხლს მერე რა მოუვიდა?

კაილინი: ისევ თავში ავიდა.

კაილინი და დაგი განაგრძობენ ერთმანეთის ყურებას.

კაილინი: შეიძლება შევეხო?

დაგი: რატომ.

კაილინი: შეიძლება?

დაგი: კარგი

კაილინი დაგის ჭრილობას შეეხება.

კაილინი: საშინელებაა.

დაგი: ცივი ხელები გაქვს.

კაილინი: იმიტომ რომ ხშირად ვიბან. შენც დასაბანი გაქვს ხელები, ჭუჭყიანია.

დაგი: (ხელებს აჩვენებს) დავეცი. ქვების ნაწილებიც მაქვს შერჭობილი.

კაილინი ჩაიმუხლება, დაგის ხელს აიღებს და გასუფთავებას იწყებს. დაგი მონუსხული უყურებს მას.

დაგი: (ჩუმად) აუ.

კაილინი: გტკივა?

დაგი: ცოტათი.

განათება იცვლება, მუსიკა იწყება და კაილინი და დაგი მეორე სცენისთვის ემზადებიან

სცენა 2: 23 წლის; დაკარგული თვალი

15 წლის შემდეგ. მოქმედი გმირები ახლა 23 წლისები არიან.

საავადმყოფოს ოთახი. დაგი გამოსაკვლევ მაგიდაზე ზის. მას შავი კოსტუმი აცვია, რომელიც სისხლის წვეთებით არის მოთხვრილი. მისი სახე დაბინტულია, კონკრეტულად დაფარულია მისი მარცხენა თვალი. გაბრუებული გამოიყურება. წინა კბილი კი აღარ აქვს.

კაილინი შემოდის. მას შავი კაბა და მაღალქუსლიანები აცვია. ის ასევე გაბრუებული გამოიყურება. ფეხები ტალახში აქვს ამოსვრილი.

პირველად ხედავს დაგს ასეთ მდგომარეობაში.

ისინი ერთმანეთს დაჟინებით უმზერენ.

დაგი: თავი დამანებე.

კაილინი: დაგი. რა ქენი!

დაგი: ფეიერვერკები ძალიან მაგარი იყო. ნუ გარდა იმისა რომელიც თვალში მომხვდა.

(დაგი კაილინის ამოთხვრილ ფეხებს შეამჩნევს) შენ რა მოგივიდა?

კაილინი: სამზარეულოს მაგიდაზე ჩამეძინა.

დაგი: რა?

კაილინი: ჰო. ცოტა დავლიე სახლში რომ დავბრუნდი.

დაგი: და ის ბიჭი? ის ბიჭი. ვისთან ერთადაც ცხოვრობ.

კაილინი: ძინავს. ეძინა როცა სახლში დავბრუნდი. მას ბრედი ქვია.

დაგი: ტრაკული სახელი აქვს.

კაილინი: ამას რატომ აკეთბ?

დაგი: ფეხები ტალახში რატომ გაქვს ამოსვრილი.

კაილინი: ამას რატომ აკეთებ?

დაგი: პირველი მე გკითხე.

კაილინი: არ გიკითხავს. ბავშვივით ნუ იქცევი. რა დებილი ხარ. ასაფეთქებლებთან მარტო არ დაიტოვები.

დაგი: არ მინდოდა მარტო ყოფნა.

კაილინი: ახლა ეს ყველაფერი ჩემი ბრალია. ხვალ მამაჩემი უნდა დავკრძალო.

დაგი: საერთოდ აქ რას აკეთებ?

კაილინი: კრისტენ მაკონელიმ დამირეკა.

დაგი: კრისტენმა სკოლიდან?

კაილინი: მედდად მუშაობს აქ. მითხრა რომ შემოგიყვანეს და ჩემ სახელს იმეორებდი. ჰოდა დამირეკა. მათ ეგონათ რომ თავის მოკვლა ცადე.

დაგი: ფეიერვერკით თავის მოკვლას ვინ ცდილობს?

კაილინი: ზუსატდ. მათ ვუთხარი რომ უბრალოდ დებილი ხარ და უტვინო. ვუთხარი რომ შენ არასდროს მოიკლავ თავს ვინაიდან არ დაგრჩება შრამები რომ თავო მოიწონო მერე. მოკლედ, მან მითხრა რომ დაშავდი.

დაგი: რატომ მოხვედი?

კაილინი: არ ვიცი დაგი. მეძინა სამზარეულოს მაგიდაზე და კრისტენმა დამირეკა ამ ჯანდაბა საავადმყოფოდან. შეხედე შენს თავს. ჯერ შენი კბილი, ახლა კი შენი თვალი.

დაგი: ტალახში ამოსვრილი მუხლებამდე რატომ ხარ.

კაილინი: ნახევარი გზა გამოვიარე მანქანით მაგრამ მერე მანქანა ტალახში გაიჭედა.

დაგი: რას გულისხმობ?

კაილინი: ანუ ნახევარი გზა გამოვიარე მანქანით და მერე ტალახში გავიჭედე.

დაგი: მანქანა გაიჭედა ტალახში.

კაილინი: ჰო

დაგი: რა სისულელეებს ამბობ? რა ტალახი? სად არის ტალახი შენ სახლსა და ამ საავადმყოფოს შორის რომ გაჭედილიყავი?

კაილინი: გთხოვ.... უბრალოდ მოკეტე. არის ტალახი, გზის პირას.

დაგი: რა? გზიდან გადახვედი? ნასვამი ხარ?

კაილინი: არა! უბრალოდ საქარე მინა მთლიანად დაზიანებულია რადგან ბრედი გასულ თებერვალს ხეს შეეჯახა, ჰოდა ვერ ვხედავდი და გზაზე ნისლი იყო თუ რაღაც ეგეთი. თან ცოტა არაყიც დავლიე. მაგრამ ძილმა გამომიყვანა მდგომარეობიდან.

დაგი: ანუ აიღე და მანქანა დატოვე.

კაილინი: ხო იცი როგორი ვარ.

დაგი: ანუ?

კაილინი: წადი შენი. ხო იცი როგორი ვარ, როცა შენ რამე გემართება. ხო იცი.

დაგი: სხვათა შორის ექიმმა მითხრა რომ ერთი თვალით დავბრმავდები.

კაილინი: დაგი...

მის გვერდზე დაჯდება და თვალებზე ცოტა ხნით ხელებს აიფარებს.

დაგი: (ჩაფიქრებული) აღარ არის. სულ მთლიანად. მაგრამ ვფიქრობ ეს არ იყო უბრალოდ დაზიანება, დამწვრობაც იყო. წვას განაგრძობდა როცა თვალი გახვრიტა. ასე რომ დამწვრობამ ყველაფერი გაანადგურა.

კაილინი: მაგ თვალზე პრობლემები გქონდა ყოველთვის.

დაგი: ჰოო.

კაილინი: გასაპობი.

დაგი: გასაპობი.

კაილინი: და ის გოგო რომელმაც ციგურით გაგიჭრა თვალი როცა პატარა იყავი? და მერე სკოლაში. ტაბასკოს საწებელი.

დაგი: და კონიუნქტივიდი.

კაილინი: ხოო.

დაგი: შენც გადმოგდე.

კაილინი: არ გადმომდე. არასდროს მქონია.

დაგი: სულ მეფიქრება იმ დროზე... სულ.

კაილინი: ხო იმიტომ რომ „ფრიკი“ ხარ. მსუქანი ვარ.

დაგი: არ მინდოდა რომ მოსულიყავი.

კაილინი: ჰო, კი.

დაგი: ანუ მიხარია რომ აქ ხარ, რა თქმა უნდა. მაგრამ ხვალ დაკრძალვაზე მიდიხარ და სახლში უნდა წახვიდე. შხაპი მიიღე, დაისვენე.

კაილინი: მოკეტე. ჯერჯერობით არ მაქვს სურვილი რომ მანქანამდე ფეხით მივიდე.

დაგი: მაგარი ნასვამი ხარ ხო?

კაილინი: არა უბრალოდ გაბრუებული ვარ. ისეთი შეგრძნება მაქვს რომ ახლახან გავიღვიძე. ვერც კი წარმოგიდგენია ისეთი კვირა მქონდა. სამსახურში ვიყავი რომ დამირეკეს და მითხრეს რომ მამაჩემი მკვდარი წევს სავალ გზაზე. შემდეგ ყველასთან და ყველაფერთან გამკლავება და მერე შენ ჩნდები უეცრად აქ. დაგი, 5 წლის მერე დაბრუნდა, მოულოდნელად. არ მიძინია. არ მიძინია მგონი უკვე სადღაც.... 4 წელია.

დაგი 4 თითს აწევს.

დაგი: რამდენი თითი მიჭირავს?

კაილინი: ოთხი.

დაგი შუა თითს აჩვენებს.

დაგი: ახლა?

კაილინი: მოკეტე.

დაგი: ორივეს გვიჭირს დანახვა.

კაილინი გაუღიმებს.

კაილინი: იქნებ უკეთესიცაა.

ხანგრძლივი სიჩუმე.

დაგი: ჩვენ რა მოგვივა?

კაილინი: არაფერი.

დაგი: სერიოზულად.

კაილინი: არ ვიცი. რა იყო?

დაგი: არ ვიცი. (პაუზა) მგონი გაორებულად გხედავ.

კაილინი: მეც.

დაგი: მოდი ვიცეკვოთ.

კაილინი: მოკეტე.

დაგი: არა. ორივე გაორებულად ვხედავთ, ჰოდა შეგვიძლია ვიცეკვოთ, ოთხივემ.

კაილინი: დაჯექი.

დაგი კაილინს წამოაყენებს.

კაილინი: სერიოზულად თავბრუ მეხვევა.

დაგი: მეც.

უცნაურად ცეკვავენ.

დაგი: ღიღინებს რაღაც სიმღერას

Ooh Leenie…

Leenie Deenie…

Leenie Deenie Weenie Moe.

Moe Weenie.

My leenie Deenie Diney Doo.

Diney doo

Diney doo.

ორივენი ცეკვავენ და იცინიან.

დაგი იღებს კაილინის ხელს და სახეზე იდებს.

დაგი: შეეხები?

კაილინი: რა?

დაგი: ჩემ თვალს.

კაილინი: შენ არ გაქვს თვალი.

დაგი: ჩემი თვალის ბუდეს.

კაილინი: რა საშინელებაა.

შეწყვეტს დაგთან ცეკვას და საწოლს მიეყრდნობა.

კაილინი: ალბათ აქ მოწევა არ შეიძლება ხო?

დაგი: შეეხები?

კაილინი: რაზე მელაპარაკები. მორჩი უცნაურობებს.

დაგი: ყოველთვის შეგეძლო ჩემი ჭრილობების შეხორცება.

კაილინი: შესანიშნავია. მიხარია რომ კარგად გემსახურე. (სიგარეტის ღერს იღებს). მოვწევ, ვითომ რას მიზამენ?

დაგი: შეიძლება ცრურწმენად აღვიქვათ მაგრამ მჭირდება. ხომ იცი რომ ამას ყოველთვის აკეთებ.

კაილინი: ყოველთვის ყველაფერს არ ვაკეთებ.

დაგი: თითქოს სუპერ ძალა გაქვს. დღესაც. როცა შენ მაკოცე, ჩემ დაკარგულ კბილს რომ აკოცე, ტკივილი შემიწყდა.

კაილინი: მოკლედ შენ საშინელ თვალის ბუდეს არ ვაპირებ შევეხო.

დაგი სახვევის მოხსნას იწყებს.

კაილინი: რას აკეთებ?

დაგი: მიდი. შეეხე. შენ მე განმკურნავ. წამლები დიდხანს არ მოქმედებს.

კაილინი: გაჩერდი!

დაგი: როცა წამლების მოქმედება შეწყდება, ისევ ძალიან მეტკინება. უბრალოდ უნდა შემეხო.

კაილინი: დაგ გაჩერდი!

დაგი დაიწყებს სახვევის მოხსნას, ჯერ ერთ ფენას მოიხსნის და მერე მეორე ფენაზე გადადის.

დაგი: არ იდარდო. ვიცი რასაც ვაკეთებ, კარგი?

კაილინი: მართლა არ მსურს რომ ვნახო.

დაგი: უბრალოდ მჭირდება რომ დამეხმარო ლინი. შენ იცი, შენ იცი რაც უნდა ქნა.

სახვევი მთლიანად მოიხსნა გარდა დიდი სისხლიანი ბინტისა რომელიც მარცხენა თვალს უფარავს და გულის ამრევად.

დაგი: გთხოვ, შეეხები ჩემ თვალს?

კაილინი: მომშორდი დაგ. შეხედვაც კი არ შემიძლია. გთხოვ! ეგ სახვევი... ეგ სახვევი ისევ შემოიხვიე. არ არის ეს სწორი, კაი რა.

დაგი: უკეთესად შეგიძლია გახადო.

კაილინი: არა არ შემიძლია. დამანებე თავი.

დაგი: შეეხე, მხოლოდ ერთხელ.

კაილინი: (გაბრაზებული) არა, არ შევეხები. აქ არ ვარ იმისთვის რომ მოგიარო დაგ. მე მკურნალი არ ვარ.

დაგი: ძალიან მტკივა, შეგიძლია გაიგო?

კაილინი: მკიდია!

დაგი: მაშინ წადი! გაეთრიე აქედან.

ორივე შეშფოთდება. შემდეგ კაილინი გადის.

განათება იცვლება, მუსიკა იწყება და კაილინი და დაგი მესამე სცენისთვის ემზადებიან

სცენა 3: 13 წლის; ლიმბო (ცეკვა-თამაში, როცა უნდა გაძვრე ჯოხს ქვევით)

10 წლის უკან. მოქმედი გმირები 13 წლისები არიან.

მედდის ოთახი. ღამე.

კაილინი შემოდის. თავს ცუდად გრძნობს. პირს იწმენდს ვინაიდან ცოტა ხნის წინ რაღაც ამოახველა. არასტაბილურად გამოიყურება. აცვია კაბა, მერვე კლასის გასმოსაშვები საღამოსთვის.

საწოლზე წევს და მისი ფეხები იატაკს ეხება.

დაგი შემოდის, ცალ ფეხზე წაიხტუნავებს და სწრაფად ჯდება მეორე საწოლზე.

დაგი: (სტკივა) აუ! აუ! აუ!

კაილინი მას გახედავს.

კაილინი: რა მოგივიდა?

დაგი: ვაჯაზებდი.

კაილინი: ცეკვადვი?

დაგი: კი. მთელ საცეკვაო მოედანზე.

კაილინი: ბრეიკ დანს ცეკვავდი?

დაგი: არა, ლიმბოს.

კაილინი: კოჭი იტკინე?

დაგი: ხო. შენ რა გჭირს?

კაილინი: არაფერი.

დაგი: და ცეკვას რაც შეეხება?

კაილინი: რას გულისხმობ.

დაგი: ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

კაილინი: დიდი ამბავი.

დაგი: არ მოგწონს?

კაილინი: არა.

დაგი: სახალისოა.

კაილინი: მერე წადი და გააგრძელე ცეკვა

დაგი: კოჭი ვიტკინე

კაილინი: ლიმბოს გაკეთებისას

დაგი: ჰო, იცოდი რომ მექსიკურია? შენ რატომ არ მოგწონს?

კაილინი: უბრალოდ არ მომწონს.

დაგი: მაშინ რატომ მოხვედი?

კაილინი: მოკეტე.

ხანგრძლივი პაუზა

დაგი: სისხლი აღებინე?

კაილინი: რაა?

დაგი: გავიგე რომ დედა ბონიფეისმა მისის უიტონს უთხრა რომ სისხლი აღებინე.

კაილინი: სისხლი არ მიღებინებია, უბრალოდ ვაღებინე.

დაგი: გინდა ჯანჯაფილის ჩაი მოგიტანო?

კაილინი: არა, მადლობა.

დაგი: როცა მინდა მაშინ შემიძლია ვაღებინო.

კაილინი: ძალიან დამამშვიდებელია.

დაგი: მართლა. თითის ჩადებაც კი არ მჭირდება ხახაში. უბრალოდ შემიძლი როცა მინდა.

კაილინი: რატომ უნდა გინდოდეს.

დაგი: იცი ხანდახან უკეთ რომ იგრძნო თავი. ან ადამიანები შეაძრწუნო. მე ჰოკეის ვთამაშობდი? მე ჰოკეის ვთამაშობ. მოკლედ ვთამაშობდი და ერთი ტიპი მოწინააღმდეგე გუნდიდან ნამდვილი ხისტავა იყო. სულ დამსდევდა და ძალიან ნერვების მიშლიდა. ძალიან ნერვების მომშლელი ტიპი იყო. ჰოდა ცოტათი პირში ვარწყიე და მერე შევაფურთხე.

კაილინი: ყველაზე გულის ამრევი რამ არის რაც კი მომისმენია ცხოვრებაში. ამაზრზენი ხარ.

დაგი: ჰოდა ისე შეძრწუნდა რომ ტირილი დაიწყო. მე კი მთელ მოედანზე ვსრიალებდი და გოლიც კი გავიტანე. კი წავაგეთ, მაგრამ გოლი მაინც გავიტანე.

კაილინი: ჰოკეი მშვენიერ აქტივობად ჟღერს.

დაგი: აქილევსის მყესი გავიწყვიტე გასულ ზაფხულს.

კაილინი: რატომ მელაპარაკები? რატომ არ უბრუნდები შენ ცეკვებს?

დაგი: ზუსტად მაგიტომ დავიზიანე ახლა კოჭი. არასდროს შეხორცდა ნორმალურად, მგონი. ხანდახან უბრალოდ რომ დავდივარ მაშინაც მტკივა. გინდა გითხრა როგორ მოვახერხე?

კაილინი: ხომ თქვი - ცეკვისგან.

დაგი: არა, მყესს ვგულისხმობ.

კაილინი: არ ვიცი, ჰოკეის თამაშისას?

დაგი: არა... ველოსიპედით მივდიოდი. უფროსწორად ტოდ სკოტი იჯდა და მე საჭე მეჭირა და ნოუბლ როად ჰილზე სწრაფად დავეშვით, ფეხი ველოსიპედის სპიცში გამეჭედა და გადმოვარდი ველოსიპედიდან. 10 ნაკერი დამადეს სახეზე მაგრამ პლიუს აქილევსის მყესიც გავიწყვიტე. უბედური შემთხვევებისკენ ვარ მიდრეკილი. დედაჩემი ასე ამბობს.

კაილინი: ეგრე თუ ეშვებოდი ველოსიპედით დაღმა, უბედური შემთხვევებისკენ კი არ ხარ მიდრეკილი, უბრალოდ დაუნი ხარ.

დაგი: არ უნდა იხმარო სიტყვა „დაუნი“. უპატივცემულობაა დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ.

კაილინი: ბოდიში თუ შეურაცხყოფა მოგაყენე.

დაგი: არაფერია.

მუსიკის ხმები ექოსავით ისმის შორიდან.

დაგი: (თავს მუსიკის რიტმში აქნევს) უი, მომწონს ეს სიმღერა. გინდა ვიცეკვოთ?

კაილინი: რაზე მელაპარაკები.

დაგი დგება კოჭლობით, მაგრამ მგზნებარედ. ცეკვას იწყებს უხერხული მიხვრა მოხვრით.

დაგი: ვიცეკვოთ!

კაილინი: ჰო რა თქმა უნდა..

დაგი: სერიოზულად ვამბობ. ცეკვა მინდა შენთან. ადექი!

კაილინი: არ ვაპირებ ცეკვას!

დაგი: კაი რა!

დაგი კაილინის აყენებს საწოლიდან და ულაზათოდ იწყებენ ცეკვას. მაგრამ კაილინისთვის ძალიან მოუხერხებელია, დაგს შორდება და საწოლზე წვება.

დაგი: რა იყო?

კაილინი: სიდებილეა!

დაგი: ცეკვა როგორ არ მოგწონს?

კაილინი: თავს რატომ არ დამანებებ?

დაგი: მოდი ადექი!

კაილინი: არ ვაპირებ ისევ ცეკვავს გაიგე? გამანებე თავი.

დაგი: მაგრამ სახალისოა!

კაილინი: ჩემთვის არა.

დაგი ცოტა ხნით შეხედავს კაილინის. ჩამოჯდება, ფეხზე გაიხდის და ფეხის გულის ფხანას იწყებს ხარბად.

კაილინი: რას აკეთებ?

დაგი: მაგრა მეფხანება.

კაილინი: ფუ გულის ამრევია!

დაგი: მერე? სისხლის ღებინებაც გულის ამრევია!

კაილინი: სისხლი არ მიღებინებია.

დაგი აგრძელებს ფხანას და კაილინი მის ყურებას. შემდეგ მისგან თავს იბრუნებს.

დაგი: ჰოდა... კეტლინ... ვინ მოგწონს?

კაილინი: რა დამიძახე ახლა?

დაგი: კეტილინი.

კაილინი: ჩემი სახელი კაილინია.

დაგი: ჰო რა თქმა უნდა, კაილინი. კაილინი მინდოდა მეთქვა.

კაილინი: სირი ხარ.

დაგი: არ ვარ

კაილინი: მოკეტე

დაგი მეორე ფეხზეც გაიხდის და ფხანას იწყებს, მაგრამ ისე ხარბად აღარ.

დაგი: ჰოდა ვინ მოგწონს?

კაილინი: (გაღიზიანებული) არ მესმის შენი კითხვა.

დაგი: რომელი ბიჭი მოგწონს?

კაილინი: ყველა მეზიზღება.

დაგი: რატომ?

კაილინი: იმიტომ. მოკეტე.

დაგი ფხანას წყვეტს, ფეხებს შეხედავს, შემდეგ გაიწელება და წინდებს იხდის.

დაგი: ეი კაილინ.

კაილინი: რა

დაგი: შეხედე!

კაილინი მას შეხედავს და დაგი მის ერთ-ერთ წინდას სახეზე შეახებს.

კაილინი: (დაიმანჭება) ფუ, ფუ! რა საშინელებაა.

დაგი: ჩემი წინდაა!

კაილინი: ვიცი!

დაგი: ყარს!

კაილინი: ყველაზე საშინელებაა რაც კი მინახავს! ამაზრზენი ხარ! მომშორდი!

დაგი: ვინ მოგწონს?

კაილინი: მომშორდი რა!

დაგი: თუნდაც ერთი ბიჭი არ მოგწონს?

კაილინი: ხომ გითხარი რომ არა. გამანებე თავი.

დაგი თავის წინდას იღებს და თავის საწოლთან ბრუნდება.

კაილინი: რა დებილი ხარ!

დაგი: მე ერინ მარკსი მომწონს

კაილინი: მიხარია.

დაგი: ძალიან ლამაზია. დღეს მასთან ერთად ვიცეკვე. მან კი დენ შტრაუსს აკოცა.

კაილინი: ჰო, ასევე იან მაკგისაც აკოცა.

დაგი: მართლა?

კაილინი: ჰო.

დაგი ჩაფიქრდება.

დაგი: არ უკოცნია.

კაილინი: კულისებში დავინახე რომ კოცნიდნენ ერთმანეთს.

დაგი: შენ ვინმესთვის გიკოცნია?

კაილინი: რა დებილი ხარ.

დაგი: არ ვარ. გიკოცნია?

კაილინი: მოკეტე.

დაგი ცოტა ხნით ჩუმდება. დგება და მეორე წინდას იღებს და ორივეს იცვამს.

დაგი: მე არავისთვის არ მიკოცნია.

კაილინი: არ მაინტერესებს.

დაგი: დღეს საღამოს ერიინ მარკს ვაკოცებ.

კაილინი: წარმატებები.

დაგი ლოგინზე წევს და იწელება.

კაილინი: რატომ არ ბრუნდები უკან?

დაგი: წავალ ცოტა ხანში.

კაილინი ლოგინზე დაწვება, ორივე ჭერს უყურებს.

დაგი: ვფიქრობ კოცნა ძალიან სასიამოვნოა.

კაილინი: დებილი ხარ.

დაგი წინამხრის კოცნას იწყებს, ვითომ პრაქტიკას გადის. უფრო და უფრო ვნებიანად იწყებს კოცნას რომ კაილინი გააღიზიანოს.

დაგი: მმმმ. კოცნა. კოცნა. კოცნა. კოცნა. კოცნა

კაილინ დგება რომ დატოვოს ოთახი.

კაილინი: მივდივარ. ძალიან აბეზარი ხარ და დებილი.

დაგი: არ ვარ დებილი და ნუ მეუბნები მაგას. ყველა ფიქრობს რომ რახან სპორტში ძალიან კარგი ვარ და სულ რაღაცა მემართება, დებილი ვარ. მაგრამ არ ვარ დებილი. მამაცი ვარ და სულ ეს არის. მე მამაცი ვარ. არ წახვიდე.

კაილინი: მეგონა ცეკვას გინდოდა დაბრუნებოდი.

დაგი: ჯერ არა. აქ მინდა ჯდომა

კაილინი უკან მიდის და ჯდება.

დაგი: ყოველთვის მამაცი არ ვარ.

კაილინი: ჰო ვიცი.

პაუზა

დაგი: გინდა ვიკოცნაოთ?

კაილინი: რااა?

დაგი: უბრალოდ ვამბობ: მე არავისთვის მიკოცნია და ვგონებ არც შენ. თან ცოტას ვნერვიულობ რომ არ ვიცი როგორ ვაკოცო და ალბათ შენც ნერვიულობ, ჰოდა მოდი პრაქტიკა გავიაროთ და როცა პირველი კოცნა გვექნება, გვეცოდინება მაინც როგორ მოვიქცეთ.

კაილინი: არა მადლობა.

დაგი: კაი რა.

კაილინი: არა.

დაგი: მოდი რაა.

კაილინი: არა, არ ვაპირებ შენ კოცნას. ამაზრზენია. პლიუს ამის შემდეგ პირველი კოცნა ველარ გვექნება, ეს იქნება ჩვენი პირველი კოცნა და არ მინდა რომ ჩემი პირველი კოცნა შენთან იყოს. თან ცოტა ხნის წინ ვარწყიე.

დაგი: ეს არ იქნება ჩვენი პირველი კოცნა, ეს იქნება ჩვენი სავარჯიშო კოცნა. თან შენ არ მომწონხარ, ერინ მარკსი მომწონს.

კაილინი: ცოტა ხნის წინ ვარწყიე.

დაგი: მერე ხომ გამოიბანე პირი?

კაილინი: კი.

დაგი: ჰოდა მშვენიერია. მოდი.

დაგი დგება.

დაგი: კაილინი, მოდი რა. სავარჯიშო კოცნა და მერე ცეკვას დავუბრუნდეთ.

კაილინი: არც კი მჯერა რომ ამაზე მელაპარაკები.

დაგი: მოდი, სავარჯიშო კოცნა.

კაილინი: რაღაც უხერხულია. მოდი უბრალოდ ცეკვას დავუბრუნდეთ.

კაილინი დგება, დაგი მისკენ გადაიხრება და სახეს მის სახესთან ახლოს მიიტანს. კაილინი მას შეხედავს, შემდეგ კი რთავს ნებას რომ დაგმა აკოცოს. ერთმანეთს აკოცებენ და შორდებიან. ცოტა ხანი ერთმანეთს შეხედავენ მერე კი კაილინი პირზე ხელს იფარებს.

დაგი: რა მოხდა?

კაილინი სწრაფად ნაგივს ყუთთან მივარდება და აღებინებს. თან ძალიან ბევრს. როცა მორჩება, უბრალოდ დგას და ნაგვის ყუთი უჭირავს.

დაგი: კარგად ხარ?

კაილინი: გთხოვ წადი.

დაგი შეხედავს, კაილინს ნაგვის ყუთი სხეულთან ახლოს აქვს. დაგი თავს უკან გადაწევს, უცნაური ხმების გამოშვებას იწყებს, შემდეგ ნაგვის ყუთს ხელიდან აცლის კაილინის და არწყევს. როცა მორჩება თავს გააქნევს და შემდეგ ნაგვის ყუთს ჩახედავს.

დაგი: ჩვენი ნარწყევი ერთად არეულია. (კაილინს შეხედავს) გინდა ნახო?

კაილინი დაგს შეხედავს, მერე მას მიუახლოვდება და ის და დაგი ორივენი ნაგვის ყუთს ჩახედავენ.

დაგი: რა მაგარია.

კაილინი: ჰო. ჰო.

განათება იცვლება, მუსიკა იწყება და კაილინი და დაგი მეოთხე სცენისთვის ემზადებიან

სცენა 4. 28 წლის - სამშაბათი

15 წლის შემდეგ. მოქმედი გმირები 28 წლისები არიან.

საავადმყოფო. დაგი კომაშია. მარცხენა თვალი დაფარული აქვს. კაილინი შემოდის. დაგი მას ასეთ მდგომარეობაში არ უნახავს.

კაილინი (ჩაილაპარაკებს): ეშმაკმა დალახვროს.

დაგთან მიდის. მონიტორის წრიპინის ხმა და სხვა აპარატურის ხმა ისმის. დიდხანს მიაჩერდება დაგს.

კაილინი: სალამი კიდევ ერთხელ.

კაილინი სახეზე ხელებს აიფარებს და ოთახს დატოვებს. თუმცა მალევე დაბრუნდება.

კაილინი: ვცდილობ ჯანმრთელად ვიცხოვრო. ნუ უმეტესწილად. მინდოდა რომ გცოდნოდა. რომ აღარ ინერვიულო ჩემზე. (პაუზა) მიდი რა დაგ, გაიღვიძე. უბრალოდ გაიღვიძე. აქ ვარ. აქ ვარ რომ გაგაღვიძო კარგი? დიდი ხანი გავიდა, ვიცი, უბრალოდ...

კაილინი თავს გაიქნევს, როცა გააცნობიერებს რომ საკუთარ თავს ელაპარაკება.

კაილინი: ღმერთო ჩემო. რა ჯანდაბას ვაკეთებ აქ?

თავის ჩანთისკენ გაემართება და წამლებს ამოიღებს ჩანთიდან, რამდენიმეს დალევს. შემდეგ სკამზე ჯდება რომელიც არც თუ ისე ახლოს არის საწოლთან.

კაილინი: როგორ დავიღალე შენი სისულელეებით.

კაილინი საფეთქლებს დაიზილავს. დგება და სწრაფად მიდის დაგთან.

კაილინი: ვიღას ეცემა ეს დედამოტყნული მეხი?

სკამისკენ ბრუნდება და მოწყვეტით ჯდება.

კაილინი: თავიანთ დედამოტყნულ სახურავზე. არ შემიძლია არ გითხრა შე სირო გენიოსო, რომ შტორმის დროს სახურავზე ასვლა სულაც არ არის გენიალური იდეა.

კაილინი დაწყნარებას ცდილობს. ამოიღებს ლოსიონს და ხელზე დაიდებს.

კაილინი: ვცდილობ რომ არ ვიბილწსიტყვაო ამდენი. ასევე რომ დავტენიანდე. ეს არის რაც ხდება ამ ბოლო დღეებში.

ლოსიონს ხელზე წაისვამს.

კაილინი: მართლა გილოცავ თითქმის დაქორწინებას. გავიგე ამის შესახებ. მის შესახებ. ელეინი. ელეინი. ლამაზი ხახელია. საცოდავი გოგონა. მაგრამ ალბათ სწორი

გადაწყვეტილება მიიღე. ვფიქრობ ჯერ არ ხარ მზად რომ უღელში შეება, სანამ სახურავზე ცოცვას თავს არ დაანებებ. არც მე ვარ სამაგალითო მოქალაქე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვიცი ელემენტარული უსაფრთხოების წესები, შე გამოსირებულო.

კაილინი ლოსიონს უკან ჩანთაში დებს და კვლავ დაგს უახლოვდება.

კაილინი: ანუ იმას ვამბობ რომ შენ არ ხარ პირველი საქმრო რომელმაც უკან დაიხია.

კაილინი თავს გააქნევს და ოთახში იწყებს სიარულს.

კაილინი: იდიოტად ვგრძნობ თავს. დარწმუნებული ვიყავი აქ რომ მოვიდოდი და ერთი ორ სიტყვას გეტყოდი, შენ მომაკეტინებდი. იმიტომ რომ მე ვარ, მე კაილინი. დაგ, მე დავბრუნდი. ბოლოს რომ გნახე ეგ დებილი თვალი აიფეთქე. ამავე საავადმყოფოში იყავი.

კვლავ სკამთან ბრუნდება.

კაილინი: ორჯერ 10 წლის განმავლობაში. სულაც არ არის კარგი ბავშვებისთვის, რომლებიც საუკეთესო მეგობრები უნდა ივყნენ. ორჯერ! ნუ მგონი შეიძლება ეს მესამედ ჩავთვალოთ. ჩაითვლება? თუ ერთ-ერთი ჩვენთაგანის ტვინ მკვდარია? რა თქმა უნდა შენ ყოველთვის ტვინ მკვდარი იყავი დაგი, ასე არ არის? ჰა ჰაჰა

კაილინი სახეს იზელავს.

კაილინი: კიდევ რა, კიდევ რა კიდევ რა...?

კაილინი დგება და დაგს უყურებს. ნელა მიდის მასთან და ხელზე ეხება. მის ხელს იღებს. პირველად ამ სცენაში დაგს მართლა შეხედავს. მას გულმოდგინედ უკავია დაგის ხელი, ისე თითქოს ძალა ქონდეს მკვრეთით აღდგენის, მაგრამ თავად კარგად

იცის რომ სასაცილოდ გამოიყურება. მის გულ მკერდს ეხება და შემდეგ ხელებს მაღლა წევს თითქოს ახლახანს გააღვიძა დაგი. მაგრამ არაფერი

კაილინი: დებილი ვარ.

წრეზე იწყებს სიარულს და მერე კვლავ დაგთან მიდის. დიდხანს აკვირდება. მის ხელს იღებს და ეფერება. შემდეგ ჩანთასთან მიდის, ლოსიონს იღებს და დაგთან ბრუნდება.

კაილინი: შენი ხელები გამშრალია.

კაილინი ლოსიონს წასმას დაუწყებს.

კაილინი: შენ არ შეგიძლია იმ გოგოზე დაქორწინება დაგ, არ შეგიძლია. იმიტომ რომ მერე მე რა ვქნა? რა ვქნა? როდესაც მამაჩემი გარდაიცვალა, როცა შენ... შენ მოხვედი სარიტუალო სახლში იმ საღამოს. რაღაცეები მაშინ რაც მითხარი... სულ ასე აკეთებ იცი? ტოპ 10-ეული რაც ჩემთვის ვინმეს რამე საუკეთსო გაუკეთებიათ, სულ შენი გაკეთებულია. მაგარია არა? და ვიცი, ვიცი ვიცი... როგორი დებილი ვარ.. მე ყოველთვის... უბრალოდ დედამოტყნული ვარ, ძალიან კარად იცი. ასევე მინდა რომ ამ სიტუაციიდან გამოძვრე დაგი. მინდა რომ კვლავ მომძებნო. მაპატიე. მაგრამ უნდა გაიღვიძო. უნდა გაიღვიძო ჩემს გამო. იმიტომ რომ კარგად არ ვარ, გაიგე? არ ვარ კარგად და ახლა ძალიან მჭირდები. მინდა რომ მოხვიდე და იდიოტური რაღაცეები მანახო, სულელური ხუმრობები მომიყვე, როგორც ყოველთვის აკეთებ ხოლმე. მაპატიე რომ დაკარგული ვიყავი, დავბრუნდი ახლა. დავბრუნდი ასე რომ გაიღვიძე. გაიღვიძე ახლავე მეგობარო. სამშაბათია, შენი ფავორიტი დღე.

განათება იცვლება, მუსიკა იწყება და კაილინი და დაგი მეხუთე სცენისთვის ემზადებიან

სცენა 5: თვრამეტი წლის: კონიუნქტივიტი

10 წლით ადრე. მოქმედი გმირები 18 წლის არიან.

კაილინის ოთახი. კაილინი ლოგინზე ზის, მუხლები მკერდთან აქვს მიტანილი. დაგი შემოდის. ძლიერად ნაცემია. უზარმაზარი ჰოკეის სავარჯიშო ჩანთა უკავია. ტკივილები აქვს. ჩანთას ძირს დებს და კაილინის გვერდით ლოგინზე ენარცხება. ტკივილისგან ყვირის.

კაილინი: რას აკეთებ?

დაგი: მინდოდა შემომევლო.

კაილინი: რა მოხდა?

კაილინი: ტომ ზაულერი მოხდა.

კაილინი: რას გულისხმობ?

დაგი: ვიჩხუბეთ.

კაილინი: (აღელვებული) ტომ ზაულერს ეჩხუბე?

დაგი: ჰო და მერე იმ დებილმა გოგო სკაუტმა კონიუნქტივიტი გადამდო.

გოგო სკაუტის ორცხობილებს იღებს ჩანთიდან და კაილინის ესვრის.

დაგი: აგერ. მისი დებილური ორცხობილები ვიყიდე. გოგო სკაუტები. პატარა დებილი კახპები.

კაილინი: ეს სამოასია (ორცხობილა რომელსაც გოგო სკაუტები ყიდიან)

დაგი: ზუსტადაც.

კაილინი: თხელი მინტები სადაა (Thin Mints - ასევე გოგო სკაუტები ყიდიან)

დაგი: გააჯვი.

კაილინი: შენ გააჯვი.

დაგი: რა გჭირს?

კაილინი: სახლში წადი. ცუდად ვარ. შენ კიდევ ნერვებს მიშლი. თხელი მინტები მინდოდა.

დაგი: მოკეტე, თორემ კონიუნქტივიტს გადმოგდებ.

კაილინი: მომშორდი.

დაგი დგება, თვალებს იზელს და შემდეგ მიემართება კაილინისკენ როგორც ფრანკენშტეინი.

დაგი: კონიუნქტივიტიიი….

კაილინი: ფუ! გაჩერდი! მომშორდი!

დაგი ლოგინზე მყოფ კაილინზე ცოცდება. კაილინი ცდილობს მოიშოროს.

კაილინი: მომშორდი ავადმყოფო!

დაგი: კონიუნქტივიტი!

კაილინი: (ძალიან სერიოზულად) მომშორდი! ღმერთო ჩემო!

დაგი: რა? რა გჭირს შენ?

კაილინი: ავადმყოფი ხარ! ყველა ბიჭი მსოფლიოში! თქვენ ყველა თავს იკატუნებთ ვითომ თამაშობთ და ამასობაში ჩემზე ამოცოცდი. გგონია რომ არ ვიცი რომ ამდგარი გაქვს ახლა? შე ავადმყოფო!

დაგი: არ მაქვს!

კაილინი: გაქვს!

დაგი: დამცავი მაცვია!

დაგი უბეზე დაიკაკუნებს. პლასტმასისაა.

დაგი: დამცავია, შე პარანოიით შეპყრობილო ატეხილო ძაღლო.

კაილინი: უბრალოდ დამტოვე

დაგი: კარგი.

დაგი ჯდება, ორცხობილებს ხსნის და ჭამას იწყებს.

დაგი: კახპა

კაილინი: მოკეტე.

დაგი: დატკბი კონიუნქტივიტით. ერთ-ერთი ყველაზე გადამდები დაავადებაა მსოფლიოში.

კაილინი: მკიდია.

დაგი: მართლა რა გჭირს?

კაილინი: არაფერი. უბრალოდ დაღლილი ვარ. რა მოხდა ზაულერთან?

დაგი: ჯერ სახეში ვხიე.

კაილინი: რატომ?

დაგი მხრებს იჩეჩს.

კაილინი: ის ტომ ზაულერია დაგი. ტომ ზაულერთან ასე უბრალოდ არავინ მიდის და სახეში ურტყამს. რაიყო სიკვდილი მოგინდა?

დაგი: ძირს დამაგდო და წიხლი ჩამარტყა. მაგრამ მეკიდა. ავიტან. დედამოტყნული სირიკო.

კაილინი: რატომ გადაწყვიტე მასთან ჩხუბი?

დაგი: რატომ არ იყავი სკოლაში? კვლავ ცუდად ხარ?

კაილინი: მე ყოველთვის ცუდად ვარ.

დაგი: არ გამოიყურები ცუდად.

კაილინი: იმიტომ რომ ამ მომენტში არ ვარ, ნუ ყოველშემთხვევაში.

დაგი: მაგრამ უცნაურად გამოიყურები თან უხეშიც ხარ.

კაილინი: ალბათ იმიტომ რომ დღეს სექსი მქონდა.

დაგს ორცხობილა გადასცდება.

დაგი: რااა?

კაილინი: ტიმთან.

დაგი: შენ… დღეს? როდის? როგორ? რას მეუბნები?

კაილინი: ის ჩემი შეყვარებულია.

დაგი: მერე? ჰო ვიცი!

კაილინი: ჰოდა სექსი გვაქვს.

დაგი: ანუ.. გინდა მითხრა რომ სექსი უკვე გაქვს? რამდენი ხანია?!

კაილინი: ორი კვირაა. ორი კვირის წინ იყო პირველი.

დაგი: და რატომ არ მითხარი?

კაილინი: ახლა გეუბნები!

დაგი: ამის დედას შევეცი!

კაილინი: რაა?

დაგი: არ მინდა რომ სექსი გქონდეს ტიმთან.

კაილინი: ის ჩემი შეყვარებულია!

დაგი: ძალიან პატარა ხარ.

კაილინი: იმიტომ რომ შენი სექსი არ გქონია

დაგი: ხომ გითხარი მქონდა თქო

დაგი: შენ ნათესავთან.

დაგი: არ ვართ ნათესავები, ოჯახის მეგობრები ვართ. მოკეტე. ვერ ვიჯერებ რომ ტიმთან სექსი გქონდა. ამაზრზენი ტიპია.

კაილინი: ისე კი არ არის რომ სულ მაგით ვართ დაკავებული. მხოლოდ ორჯერ გვქონდა.

დაგი: ორჯერ?

კაილინი: ერთხელ ორი კვირის წინ და დღეს.

დაგი: დღეს? აქ? ამ საწოლში? ფუუ! იმ საწოლში ვიწექი ახლა რომელშიც ტიმ რაილი გაჟიმე? გულისამრევი ტიპია.

კაილინი: უბრალოდ დაივიწყე.

დაგი: ვერ დავივიწყებ.

კაილინი: არ იყო…

დაგი: … რა?

კაილინი: არაფერი

დაგი: რა?

კაილინი: არაფერი უბრალოდ. უკვე დამთავრდა. ორჯერ ვქენი და დამთავრდა.

დაგი: ისე ჟღერს თითქოს მაგრა გესიამოვნა.

კაილინი: არ მესიამოვნა გასაგებია? ეს იყო… ეს იყო თითქოს ხომ იცი. თავს რომ იკატუნებ თითქოს არაფერს აკეთებ და უბრალოდ თამაშობ, როგორც შენ გააკეთე ცოტა ხნის წინ. ტიმი აქ იყო და უბრალოდ ვთამაშობდისავით, ცოტა წავიჭიდავეთ, ყველაფერი ნორმალურად იყო და მერე მოულოდნელად ჩვენ.. მოულოდნელად ის.. ხომ იცი

დაგი: ის რა?

კაილინი: არაფერი.

დაგი: არ გინდოდა?

კაილინი: ანუ.. იმ მომენტში არა…

დაგი დგება და კაილინს მისჩერდება.

დაგი: კაილინ….

კაილინი: არ გაგიჟდე რა ახლა. ყოველთვის ძალიან დრამატული ხარ.

დაგი: მოვკლავ.

კაილინი: არა არ მოკლავ.

დაგი: მახინჯ თავის ქალაში ჩავცხებ, მაგ ბინძურ სირს.

კაილინი: არ გააკეთებ მაგას.

დაგი: რატომ არა?

კაილინი: იმიტომ რომ ტიმს ვერ სცემ. ის მოგერევა.

დაგი: (კონტროლს კარგავს) შენზე ვლაპარაკობ კაილინი. შენზე და არავის შეუძლია მოვიდეს და… მოვკლავ. მოვკლავ. მოვკლავ მაგ დედამოტყნულს. მოვკლავ…

კაილინი: მოკეტავ? არ ჩამოჯდები აქ?

დაგი: არ ვაპირებ დაჯდომას!

კაილინი: ჩემი შეყვარებულია!

დაგი: არ არის. აღარ არის! ვერ ვიტან, ვერ ვიტან, ვერ ვიტან, როგორ ვერ ვიტან.

დაგი ხელებს სახეზე იფარავს.

კაილინი: დაგ… დაგ… ტირი?

დაგი: (ხელები კვლავ აფარებული აქვს, ტირის) არა.

კაილინი მაისურზე ჩაებღაუჭება და საწოლისკენ გაქაჩავს, მას ხელები კვლავ აფარებული აქვს. კაილინი ეხუტება. დაგი თვალებს იწმინდავს.

დაგი: (ჩუმად) მოვკლავ.

კაილინი: არა, არ მოკლავ.

დაგი: რატომ არის ყველა ასე ბოროტი? ზაულერი… ტიმი… ისინი… ყველა ისინი… როგორ… რატომ არის ყველა ასე ბოროტი?

კაილინი: რა.

დაგი: ზაულერმა იაფფასიანი გიწოდა. არ ხარ ეგეთი. არ ხარ

ცოტა ხნით ჩუმად სხედან. დაგი მას შეხედავს და მერე მის ხელებს. ფეხზე ეფერება ნაზად.

დაგი: ჯინსზე სისხლი გაქვს.

კაილინი: არ არის სისხლი.

დაგი: კი არის. კი არის.

დაგი მას შეხედავს.

დაგი: კვლავ დაიწყე?

კაილინი: არაფერი დამიწყია.

დაგი კაილინს შეხედავს, კაილინი კი აარიდებს მის მზერას.

კაილინი: მეგონა რომ სექსით რომ დავკავდებოდი მომეშვებოდა, გავთავისუფლდებოდი. მაგრამ რისგან გავთავისუფლდებოდი? არანაირი გათავისუფლება. მეგონა რომ დამეხმარებოდა გავჩერებულიყავი.

დაგი: გტკივა?

კაილინი: ცოტათი.

დაგი: რა დაგეხმარება ამის არ გაკეთებაში?

კაილინი: არ ვიცი. არაფერი.

დაგი დგება და მას შორდება. კაილინინ მას უყურებს. კაილინი ჯინსს შეიხსნის და ქვევით ჩაიწევს. ბარძაყებზე პატარა ჭრილობები ჩანს.

კაილინი: შეხედე.

დაგი მის ფეხებს შეხედავს. მის წინ ჩაიმუხლება და ნაზად შეეხება.

დაგი: ფიქრობ შენ ფეხებს შეიძლება გადავდო კონიუნქტივიტი?

კაილინი: შეიძლება.

დაგი: ხო. ალბათ.

დაგი კაილინის ფეხებს აკვირდება.

დაგი: რა გამოიყენე?

კაილინი საკანცელარიო დანას გამოიღებს რომელიც ბალიშის ქვეშ ქონდა.

დაგი: თუ გტკივა, რატომ აკეთებ?

კაილინი: არ ვიცი.

დაგი მის ფეხს ნაზად ეხება. ერთმანეთს შეხედავენ.

კაილინი: არ მითხრა რომ გავჩერდე.

დაგი დგება და შარვალს შეიხსნის. ჩაიწევს. ბარძაყს მოიშიშვლებს და კაილინის დაანახებს.

კაილინი: არ ვაპირებ შენ დასერვას.

დაგი: არ გაგაჩერებ თუ ამას გააკეთებ.

კაილინი: რატომ

დაგი: უბრალოდ ქენი. ისე როგორც შენზე შვები.

კაილინი საკანცელარიო დანას მის გარძაყთან მიიტანს მარამ არ დაუსვამს.

კაილინი: არ შემიძლია.

დაგი: მიდი.

კაილინი: დაგი, რატომ?

დაგი: უბრალოდ გააკეთე. მინდა გავიგე თუ როგორია, კარგი?

კაილინი: განსხვავებულია. არ შემიძლია სხვას გავუკეთო.

დაგი: მე სხვა არ ვარ, მე შენ ვარ.

კაილინინ მას შეხედავს, შემდეგ კი დანას დაუსვამს. დაგი მძიმედ ამოისუნთქავს, ერთხელ.

კაილინი: მაპატიე….

დაგი ჭრილობას შეეხება. კვლავ კაილინის წინ ჩაიმუხლავს. ხელებს გარძაყებზე დაადებს, კაილინი კი მის ხელებს თვის ხელებს დაადებს. ერთმანეთს უყურებენ.

დაგი: ყველაზე ლამაზი გოგოა ხარ ვინც კი მინახავს.

კაილინი: ვიცი.

განათება იცვლება, მუსიკა იწყება და კაილინი და დაგი მეექვსე სცენისთვის ემზადებიან

სცენა 6. ოცდაცამეტი წლის: ლურჯი ჟოლოს სოუსი

15 წლის შემდეგ. მოქმედი გმირები ახლა 33 წლისები არიან.

სტერილური ოთახი სამედიცინო დაწესებულებაში.

კაილინი სკამზე ზის და სიცარიელეს უყურებს.

დაგი შემოდის ხელჯოხით და კოჭლობით. თვალი ახვეული აქვს. დაგი კაილინის მანამდე შეამჩნევს სანამ ის მას.

დაგი: ლინიიიი

კაილინი ვერ ამჩნევს დაგს.

დაგი: (ხმამაღლა) კაილინ.

კაილინი შემოტრიალდება და მას დაინახავს.

კაილინი: მეგონა მკვდარი იყავი.

დაგი: არ ვიყავი.

კაილინი: გაგიღვიძია.

დაგი: კი

კაილინი: როდის?

დაგი: 5 წლის წინ.

კაილინი: 5 წლის წინ?

დაგი: ჰო.

კაილინი: მართლა 5 წლის წინ გამოხვედი კომიდან? სად იყავი?

დაგი: არ ვიცი.

პაუზა

კაილინი: ხელჯოხით რატომ ხარ?

დაგი: არაფერია.

კაილინი: კაი რა, რა მოხდა?

დაგი მხრებს აიჩეჩავს.

კაილინი: ის გოგო საბოლოოდ მოიყვანე ცოლად?

დაგი: ელეინი?

კაილინი: ელეინი.

დაგი: გაიგე ამის შესახებ?

კაილინი: ჰოო.

დაგი: არა.

კაილინი: მეგონა მოკვდი.

დაგი: მომინახულე?

კაილინი: დაახლოებით 25 წამალი დამინიშნეს. თითქოს ჩემში ნაყინი სპირალივით დაატრიალეს. იცი როგორ აწობენ ნაყინს და მაგრდება?

დაგი: როგორც Frostee Freeze-ში? (რესტორანი)

კაილინი: მე ლურჯი ჟოლოს სოუსი ვარ.

დაგი: ძალიან გემრიელია.

კაილინი: ჰო. (პაუზა) ეს ადგილი ცუდი არ არის. ნუ საჭმლის გარდა და მოწევა არ შეგიძლია. (პაუზა) ცუდი ეპიზოდი მქონდა, დაგი.

დაგი: რა ჩაიდინე?

კაილინი: საკუთარ თავს დავუშავე.

დაგი: როგორ

კაილინი: არ მახსოვს როგორ გავაკეთე.

დაგი: რა გააკეთე?

კაილინი: ჩემი მუცელი. ხომ იცი ყოველთვის მტკივა და დედაჩემი და ყველაფერი... და ყველაფერი უარესობისკენ წავიდა და ვეცადე რომ ამომეღო

დაგი: რას გულისხმობ.

კაილინი: გავაფრინე. ვეცადე რომ მუცელი გამეჭრა.

დაგს შეაცბუნებს.

დაგი: ასეთი რამე... არ არის ნორმალური.

კაილინი: არაფერია. თან კარგად ვერ ვხმარობ დანას.

დაგი: კაილინ... შენ ხომ მომინახულე? საავადმყოფოში? იმიტომ რომ ღმერთს ვფიცავ შენი ხმა ჩამესმოდა. ან შენი იქ ყოფნა, ან ექო.. არ ვიცი როგორ, მაგრამ მახსოვხარ, რაღაც მახსოვს... შენ მოხვედი, ჩემში შემოხვედი და სუნთქვა მომანიჭე. მოხვედი და განმკურნე.

კაილინი: რა მნიშვნელობა აქვს?

დაგი: რას გულისხმობ რა მნიშვნელობა აქვს? მკვდრეთით აღმადგინე!

კაილინი: არა, არ მიქნია! შენი მფარველი ანგელოზი არ ვარ. დაგ, ეშმაკმა დალახვროს, შემომხედე კარგი? არ მოვსულვარ შენ სანახავად.

დაგი: არა, არა, არა, არა, არ შეგიძლია მომატყუო. შენ სახეზე ვხედავ, იქ იყავი. შენ იქ იყავი.

კაილინი: (გაცხარებული) არ ვიყავი იქ!

დაგი: (გაბრაზებული, ჯოხს დააჯახუნებს) რატომ არა?

კაილინი: იმიტომ რომ რატომ უნდა მოვსულიყავი დაგ? იმაზე რა ვთქვათ როცა მე მჭირდება ვინმე? სად იყავი ბოლო 5 წელი?

დაგი: ჩემ ცხოვრებაზე კონტროლი დავკარგე.

კაილინი: შე საცოდავო.

დაგი: ყველამხრივ. შეიძლება 10 ათასი მიზეზი მქონდეს, მაგრამ... კაილინი მაპატიე. რაღაცა მოხდა და უნდა მეპოვნე. შეხედე...

დაგი ჩანთიდან პატარა ქვის ბუს ქანდაკებას ამოიღებს.

დაგი: ეს მოგიტანე.

კაილინი: ეს რა არის?

დაგი: არ გახსოვს?

კაილინი: არა.

დაგი: არ გახსოვს ეს ბუ.

კაილინი: არა.

დაგი: კი, გახსოვს.

კაილინი: უნდა მახსოვდეს?

დაგი: მორჩი ტყუილებს.

კაილინი: არ ვიტყუები.

დაგი: იცი ეს ბუ! გვეგონა რომ ანგელოზი იყო, სკოლაში როცა ვიყავით. პატარა ქანდაკება იყო, წმინდა მარგარეტ მერის სახურავზე.

კაილინი: არ მახსოვს.

დაგი: სტყუი!

კაილინი: არაფერი მახსოვს გაიგე? მაპატიე! როგორ დაითრიე?

დაგი: წმინდა მარგარეტ მერი აფეთქდა.

კაილინი: რა?

დაგი: აფეთქდა.

კაილინი: ბავშვები შიგნით იყვნენ?

დაგი: არა, შე იდიოტო. 10 წლის წინ დაიკეტა. საცავად იყო გადაკეთებული. გაზის გაჟონვა მოხდა და ბუუმ.

კაილინი: და რა, შენ წახვედი და ნანგრევებში მონახე?

დაგი: არა, ახლა დაზღვევაში ვმუშაობ.

კაილინი: რა.

დაგი: სადაზღვეო აგენტი ვარ.

კაილინი: რა უიღბლო ხარ.

დაგი: ვიცი. ჰოდა წავედი რომ გამომეძია სიტუაცია. მივედი და მთლიანად ჩამონგრეული იყო. ჰოდა სახურავზე ავძვერი და სუსტ ფიცარზე დავდგი ფეხი თუ რაღაც მაგდავარი, ლურსმანი იყო ამოწეული და ფეხში შემერჭო. სადღაც 20 სანტიმეტრის იყო. შემდეგ ფიცარი რომელზეც ლურსმანი იყო, მეორე ფიცარს დააწვა და ჩატყდა და ფეხი სამ ადგილას მოვიტეხე. 5 საათი დაჭირდათ რომ იქიდან გამოვეყვანე. მერე ინფექცია შემეყარა და ამიტომაც მიკავია ეს ხელჯოხი. მაგრამ მომისმინე: ჰოდა იქ ვარ რა, გაჭედილი, ველოდები რომ ვინმე მოვიდეს და გამომიყვანოს. ჰოდა ირგვლივ წმინდანების მოკვეთილი თავები ეყარა და მე მიყურებდნენ და ეს ბუც იქ იყო. ჰოდა დავიხარე და ავიღე. მაგრამ იცი ძლიერი ტკივილები მქონდა და მაგრად ჩავეჭიდე ამ ბუს, იმიტომ რომ.. იმიტომ რომ მოულოდნელად გავიფიქრე, სად ჯანდაბაშია კაილინი? იცი მოულოდნელად ყველაფერი ნათელი გახდა... იმ სახურავზე გაჭედილი, დაშავებული, ანგელოზებით გარშემორტყმული... ეს არის ჩემო ცხოვრება ლინი, ჩემი ცხოვრება შენს გარეშე.

პაუზა

კაილინი: გტკივა?

დაგი: სტიგმაა!

კაილინი: არ არის სტიგმა. ერთი ფეხია. სტიგმაა როცა ორივე ფეხია და ორივე ხელი. გაითვალისწინე.

დაგი: ცოტათი მტკივა.

ხანგრძლივი პაუზა. კაილინი ბუს დაიჭერს და მას უყურებს.

კაილინი: უყურე ამ პატარას. როგორი დაზიანებულია.

დაგი: მთელი მისი ცხოვრება სახურავზე გაატარა, ჩვენ დაგვყურებდა.

პაუზა

კაილინი: გინდა ჩემ შრამს შეეხო?

დაგი არაფერს უპასუხებს. ისინი ერთმანეთს შეხედავენ. კაილინი დგება და მასთან მიდის. მაისურს იწევს რომ დაგი მას შეეხოს. დაგი მის მუცელს ეხება.

დაგი: ღმერთო ჩემო, ლინი.

კაილინი: ჩემი ნაიარევია დაგ. გეგონება ამერიკული მთები მაქვს მუცელზე. შენ არ ხარ ერთადერთი დებილი ამ პლანეტაზე.

კაილინი ნაზად ეხება დაგს თავზე. დაგი ხელით მის სახეს ეხება, მეორე კი კვლავ მაისურის ქვეშ აქვს.

კაილინი: შენ არც კი მოგწონდა ის. ამბობდი რომ დებილური ანგელოზია.

დაგი: ესეიგი გახსოვს.

კაილინი: ჰო, ღმერთმა დალახვროს. მახსოვს ჩემი დალახვრული ანგელოზი.

ისინი ცოტა ხნით ირხევიან.

დაგი: მინდა იმავეს გაკეთება რასაც შენ მიკეთებ. (პაუზა) მინდა რომ დამრთო ნება. (პაუზა) ჰეი, შემომხედე. იმ სახურავზე ადრეც ვყოფილვარ.

კაილინი: ვიცი.

დაგი: იმ დღეს როცა პირველად შევხვდით. შენ რომ ჭუჭყი მომწმინდე ხელიდან.

კაილინი: ვიცი.

დაგი: ფიქრობ აქედან წასვლას შევძლებთ? ყველაფრიდან გაქცევას?

კაილინი: სადმე სხვაგან.

დაგი: ჰო, ნებისმიერ ადგილას.

კაილინი: არ შემიძლია.

დაიგ: ამ წუთს არა. მაგრამ მალე. მოვიდოდი და წაგიყვანდი ...

კაილინი: არ შემიძლია. არ შემიძლია.

კაილინი დაგს მოშორდება. მზერას მოარიდებს. სკამზე დაჯდება და გუს იხუტებს.

დაგი: არ შემომხედავ? კაილინ, შემომხედე ერთი წამით.

კაილინი არ უყურებს. დაგი მას აკვირდება. კაილინს გუ უჭირავს და უყურებს. ხანგრძლივი პაუზა. დაგი მიხვდება რომ კაილინი მას აღარ შეხედავს.

დაგი: ისევ უნდა გამიშვა? იმიტომ რომ არ მინდა ლიინ. იცი, აღარ დამრჩა ძალა. გთხოვ, არ გამიშვა, იმიტომ რომ შეიძლება უკან აღარ მოვბრუნდე.

განათება იცვლება, მუსიკა იწყება და კაილინი და დაგი მეშვიდე სცენისთვის ემზადებიან

სცენა 7. ოცდასამი წლის: კბილი და ლურსმანი.

10 წლით ადრე. ბავშვები 23 წლის არიან.

ღამე, სარიტუალო სახლის წინ. კაილინი კიბეზე ზის, ეწევა. მას იგივე შავი კაბა აცვია რაც მეორე სცენაში, მაგრამ სუფთად და ფხიზლად გამოიყურება.

დაგი შემოდის. მასაც შავი კოსტიუმი აცვია მეორე სცენიდან, მაგრამ სისხლი არ ამჩნევია და ჯერ კიდევ აქვს მარცხენა თვალი. მხოლდ წინა კბილი აკლია. ერთმანეთს შეხედავენ.

დაგი: (იღიმის) კიდევ ერთხელ სალამი.

კაილინი: რა დაემართა შენ კბილს?

დაგი: ამ დილით ამოვიგდე. ფარდულში, ჩაქუჩის რტყმისას. გამარჯობა კაილინ.

კაილინი: კიდევ ერთხელ სალამი.

დაგი: მაპატიე.

კაილინი: რაზე

დაგი: მამაშენის გამო.

კაილინი: მასზე წუხარ.

დაგი: მის გამო ვწუხვარ.

კაილინი: პანაშვიდი გამოტოვე. ყველა სახლში წავიდა. არავინ არის გარდა მკვდარი კაცისა იმ კუბოში.

დაგი: მეგონა 9 საათამდე გრძელდებოდა.

კაილინი: ცხრის ნახევრამდე.

დაგი: მიხარია შენი ნახვა.

კაილინი: წადი შენი, შე უკბილო ქაქო.

ერთმანეთს გაულიმებენ. დაგი მიდის რომ ჩაეხუტოს.

დაგი: მიხარია შენი ნახვა.

კაილინი: არა, არ ჩამეხუტო. ყელში ამომივიდა ჩახუტება - დღეს ყველა მეხუტებოდა. ყველა მეუბნებოდა: ვწუხვარ, ვიზიარებ. რას იზიარებენ? თუ კიდევ ერთ ვინმეს ჩავეხუტები, ალბათ საკუთარი ნაერწყვი დავიხრჩობი.

დაგი: მაგრამ საუკუნეა რაც არ მინახიხარ, ლინი.

კაილინი: მე აქ ვიყავი. შენ სად ჯანდაბაში იყავი?

დაგი: კოლეჯში.

კაილინი: კოლეჯში.

დაგი: ზაფხულში და შობაზე ჩამოვდიოდი. შენი პოვნაც ვცადე, მაგრამ ვერსად გნახე.

კაილინი: აქ ვიყავი.

დაგი: სად? სახლში არ იყავი.

კაილინი: ვმუშაობ. ვმუშაობ და მძინავს. შენ რას აკეთებ?

დაგი: არაფერს. არაფერს ახლა. ვეძებ. არ ვიცი. თითქოს როცა სახლში ვარ, სულ შენ დაგეძებ.

კაილინი: კარგად არ გიძებნივარ.

დაგი შეიჭმუხნის, თითქოს ტრანსიდან გამოვიდა.

დაგი: ღმერთო ჩემო ლინი, აქ ხარ. გიპოვე!

მის გვერდით ჩამოჯდება და ჩაეხუტება. კაილინი გაღიზიანებულია.

კაილინი: არ გაჩერდები? დებილი ხარ.

დაგი: მომენატრე. მომენატრე, ლინი.

კაილინი: არ დამიძახო ეგ, არავინ მეძახის ეგრე.

დაგი: მე გეძახი. რას ეწევი?

კაილინი: სიგარეტს.

დაგი: ერთი მომეცი.

კაილინი: როდიდან ეწევი.

დაგი: არ ვეწევი.

კაილინი ერთ ღერს გაუწოდებს და ორივე სიგარეტს გააბოლებს.

დაგი: აბა მომიყევი ბოლო 4 წლის განმავლობაში რა მოხდა შენს ცხოვრებაში.

კაილინი დაგს მოშორდება.

კაილინი: გთხოვ არ გვინდა. არ ვარ ხასიათზე რომ ჩემი ცხოვრების ბოლო 4 წელი გავიხსენო.

დაგი: კარგი.

პაუზა

კაილინი: ოფიციანტად ვმუშაობ.

დაგი: მამაშენმა მითხრა რომ ოფიციანტად მუშაობდი.

კაილინი მას გაკვირვებული შეხედავს, არ ელოდა მისგან ასეთ პასუხს.

დაგი: ხომ გითხარი რომ შენ საძებნელად დავბრუნდი.

კაილინი: მამაჩემს ელაპარაკე?

დაგი: შენ სახლში გამოვიარე.

კაილინი: როდის?

დაგი: სადღაც ერთი წლის წინ. მოვედი რომ მენახა თუ იქ იყავი. მამაშენს ველაპარაკე. მითხრა რომ ოფიციანტად მუშაობდი მაგრამ არ იცოდა სად.

კაილინი: მამაჩემს ელაპარაკე?

დაგი: გგონია მესიამოვნა? ვერ ვიტანდი ერთ ოთახში მაგ კაცთან ერთად ყოფნას. ღმერთმა აცხოვნოს მისი სული.

პაუზა

კაილინი: არასდროს უთქვამს რომ მოსული იყავი.

დაგი: არაა გასაკვირი.

კაილინი: რა პროჭია. (პაუზა) მარტო ვარ ახლა, დაგი.

დაგი: არ ხარ მარტო.

კაილინი: კი, ვარ. დედაჩემი გასულ წელს გარდაიცვალა.

დაგი: რა? გარდაიცვალა? როდის? როგორ?

კაილინი: არ ვიცი. მუცელი.

დაგი: ღმერთო ჩემო ლინი, ვწუხვარ.

კაილინი: ჰო, ვიცი, რომ წუხარ... 11 წელი არ მყავდა ნანახი. მისმა ყოფილმა შეყვარებულმა დამირეკა და ამბები მამცნო. იცი მამაჩემმა რა თქვა რომ ვუთხარი?

დაგი: რა?

კაილინი: ტირილი დაიწყო და მითხრა რომ ის საუკეთესო ქალი იყო, რომელიც მე არასდროს გავხდები. კახპა, რომელმაც ჩვენ მიგვატოვა.

პაუზა

დაგი: არ ხარ მარტო ლინი.

კაილინი: არ დამიძახო ეგ.

დაგი: ლინი.

კაილინი: მოკეტე.

დაგი: ლინი დინი.

კაილინი: სიგარეტის ღერით დაგწვავ.

დაგი დაეკრიჭება.

კაილინი: ხელოვნური კბილი უნდა ჩაიდგა, ინბრიდულად გამოიყურები. გტკივა?

დაგი: ძალიან.

კაილინი: მეც მიხარია შენი ნახვა.

დაგი: მგონი ახლა უკვე სახლში ვარ.

კაილინი: ეგ რას ნიშნავს?

დაგი: ეს ნიშნავს რომ მე სახლში ვარ. მე დავბრუნდი.

კაილინი: ძალიან კარგია. ალბათ.

დაგი: იცი როდესაც რამე გიჟური ხდებოდა კოლეჯში, ან რამე საოცრებას და ლამაზს ვნახავდი, ან რამე დედამოტყნულს, გავიფიქრებდი ხოლმე - ლინის ეს მაგრა მოეწონებოდა. ხანდახან წარმოვიდგენდი რომ იქ იყავი, იცი, რომ იქ იყავი და ლაპარაკს ვიწყებდი შენთან. უბრალოდ ვლაპარაკობდი.

კაილინი: ჰოოო.. მაგას დასახელება აქვს - შიზოფრენია.

დაგი: უბრალოდ მინდა რომ კვლავ მეგობრები ვიყოთ.

კაილინი: შენ მიმატოვე.

დაგი: კარგად ხარ?

კაილინი: კარგად ვარ.

დაგი: კარგად ხარ?

კაილინი: ხომ გითხარი, რომ კარგად ვარ.

დაგი: მოდი აქ.

კაილინი: არა.

დაგი: კაილინ, მოდი აქ.

კაილინი: გააჯვი.

დაგი მისკენ წავა. ხელებით მის სახეს შეეხება. კაილინი ცდილობს შეეწინააღმდეგოს, მაგრამ დანებდება.

დაგი: შემომხედე.

კაილინი: რა იყო, დაგ.

ერთმანეთს შეხედავენ. დაგი კაილინის აკოცებს, კაილინი ნებას რთავს თუმცა კოცნას კოცნითვე არ პასუხობს.

დაგი: მიყვარხარ.

კაილინი დაგს გაეცლება.

კაილინი: შენი მშობლები იყვნენ აქ დღეს.

დაგი: ვიცი.

კაილინი: ყვავილები გამოაგზავნეს. დედაშენმა თქვა რომ საჭმელს მოიტანდა. ეგეთია დედაშენი, ქალი რომელსაც საჭმელი მოაქვს.

დაგი: მათაც უყვარხარ.

კაილინი: რა იდიოტობაა, რას აკეთებ აქ ახლა

დაგი: რაზე მეუბნები?

კაილინი: მკოცნი. ასე უბრალოდ ბრუნდები. მეუბნები რომ გიყვარვარ და შენ მშობლებსაც ვუყვარვარ. უბრალოდ მომშორდი.

დაგი: ლინი.

კაილინი: როგორი დებილი ხარ. სულ ფიქრობ რომ ყველაფერი შენ როგორც გინდა ისე უნდა იყოს, მაგრამ არაფერზე არ გაქვს წარმოდგენა.

დაგი: რა?! რა არ ვიცი?

კაილინი: არ მიცნობ გაიგე? ფიქრობ რომ ვიღაც გოგო ვარ რომელზეც ოცნებობდი მილიონი წლის წინ.

დაგი: მაშინ, ვინ ხარ?

კაიინი: არაფერი. უბრალოდ მოკეტე.

დაგი: არა, ვინ ხარ? თუ არაფერი ვიცი, მაშინ ვინ ხარ?

კაილინი: მოკეტე.

დაგი უახლოვდება და კვლავ ცდილობს მის კოცნას. კაილინი უკან იხევს და არ აძლევს მას ამის საშუალებას.

კაილინი: არა.

დაგი: რატომ არა.

კაილინი არ უპასუხებს. სიგარეტს წაუკიდებს.

დაგი: მანქანაში ფეიერვერკები მაქვს.

კაილინი: დებილი ხარ.

დაგი: მართლა. უამრავი, იაპონურიც.

კაილინი: ფეიერვერკებს არ გავუშვებთ.

დაგი: რატომ არა?

კაილინი: არ ვიცი დაგი. იქნებ იმიტომ რომ 15 წლისები აღარ ვართ? ან იქნები მიტომ რომ დებილი ხარ? ან იქნებ იმიტომ რომ უნდა გავიღვიძო ხვალ მამაჩემის დაკრძალვისთვის?

დაგი: ხიდისკენ წავიდეთ, როგორც ძველ დროს.

კაილინი: მარტო არ ვცხოვრობ.

დაგი: მარტო არ ცხოვრობ... ანუ რუმეითი გყავს?

კაილინი: ბიჭთან ერთად ვცხოვრობ. ერთი წელია რაც ერთად ვართ.

დაგი: სად არის? არ არის შენთან?

კაილინი: დაკრძალვები არ უყვარს.

დაგი: დაკრძალვები არ უყვარს? ეს დაკრძალვა არაა, პანაშვიდია.

კაილინი: თქვა რომ გვამის ნახვა მას დაამძიმებდა. (პაუზა) უბრალოდ მოკეტე.

დაგი: და მაგ ბიჭთან ერთად ხარ.

კაილინი: ნუ განსჯი. მგრძნობიარეა.

დაგი: მაგის დედაც მოვტყან. დედაც მოვტყან. მაგის დედაც მოვტყან.

კაილინი: რა სასიამოვნოა.

დაგი წინ და უკან დაიწყებს სიარულს. წასვლას დააპირებს, მაგრამ უკან გრუნდება.

დაგი: იცი რა კაილინ? ღმერთო ჩემო. იცი რა, გასულ წელს შენ სახლში მივედი, მამაშენიც იქ იყო და ვიცი რომ ვერ მიტანს, ყოველთვის ვერ მიტანდა და ასე მითხრა კაილინი იქაა სადაც უნდა. არ ვიცი ეგ გოგო სადაა. მან თქვა რომ ეკიდა და არ აინტერესებდა და ვაპირებდი წამოვსულიყავი მაგრამ არა. არ წამოვედი, იმ ნაბიჭვარს ვუთხარი... (სარიტუალო სახლისკენ მიბრუნდება და ყვირილს დაიწყებს) გახსოვს ტრაკის ჭიავ? შე მკვდარო ქაქო?! გახსოვს რა გითხარი? მას ვუთხარი რომ არარაობა იყო. რომ მას ქალიშვილი ყავდა რომელიც ღმერთისგან იყო მოვლენილი. ყველაზე საოცარი არსება რომელსაც ამ დედამიწაზე უვლია და შენ ამას ვერც კი ააზრებ და ის რომ მას შენ უყვარხარ, იმიტომ რომ შენ მისი დებილი მამა ხარ. მაგრამ შენ ის არასდროს გიყვარდა, შენ მას ცხოვრება დაუმახინჯე და დედამოუტყანი, ისე რომ არც კი შეგიმჩნევია რომ ის ანგელოზია. შენი დედაც მოვტყან შე კუტუს მწოვანა. (პაუზა) და მერე ვუთხარი რომ მარტო მოვკდებოდა და ასეც მოხდა. ახლა კი ცოტა დამნაშავედ ვგრძნობ თავს. (პაუზა) ლინი, მე შემიძლია შენზე ვიზრუნო.

დაგი მას მიუახლოვდება. კაილინინ მას არ უყრუებს მაგრამ მისმა სიტყვებმა ნათლად იმოქმედა მასზე. დაგი კაილინის სახეზე ეხება, ის უცბად შეხტება და მისგან შორს დაიჭერს თავს.

კაილინი: არ მჭირდება არავინ რომ ჩემზე იზრუნოს.

დაგი გაბრუნდება წასასვლელად.

კაილინი: სად მიდიხარ.

დაგი: ჩემი ფეიერვერკები უნდა გავუშვა.

სცენას ტოვებს.

კაილინი: ნახვამდის.

სიგარეტის ღერს იღებს, უკიდებს, დაგს თვალს გააყოლებს და ჩამოჯდება.

კაილინი: (ჩაილაპარაკებს) არ აიფეთქო თავი.

განათება იცვლება, მუსიკა იწყება და კაილინი და დაგი მერვე სცენისთვის ემზადებიან

სცენა 8. ოცდათვრამეტი წლის: ზამბონი (ყინულის გამწმენდი მანქანა)

15 წლის შემდეგ. მოქმედი გმირები 38 წლისები არიან.

ცარიელი ყინულის მოედანი. კაილინი სკამზე ზის და მოედანს გაყურებს. სულ სხვანაირად გამოიყურება. მოწესრიგებულია. მოკრძალებულად აცვია. გრძელი ქვედა ბოლო, სვიტრი და შალის მოსახვევი. სცივა.

ცოტა ხანში დაგი შემოდის. ეტლში ზის. პალტო და მოქსოვილი ქუდი აცვია და რა თქმა უნდა ცალი თვალი დაფარული აქვს.

ერთმანეთი ბოლოს 5 წლის წინ ნახეს, როდესაც დაგმა კაილინი საავადმყოფოში მოინახულა.

ერთმანეთს შეხედავენ მაგრამ არაფერს იტყვიან. შემდეგ მოედანს გახედავენ.

დაგი: კარგად მოვაპრიალე ეს ყინული.

კაილინი: შუშასავით გამოიყურება.

დაგი: გამწმენდი მანქანა ჩემთვის დააკონფიგურეს. ახლა შემიძლია ხელით ვატარო. (პაუზა) დღეს ბოლოჯერ. უკვე გვიანია.

კაილინი: არ ვიცოდი. შენს შესახებ. რაც შეგემთხვა იმის შესახებ.

დაგი არ უპასუხებს.

კაილინი: მას შემდეგ რაც საავადმყოფო დავტოვე.. მე ძალიან...

დაგი: არაფერი მახსოვს. ცოტა რამე მახსოვს, მაგრამ არფერი მახსოვს.

კაილინი: ცივა.

დაგი: ყინულის მოედანია. ბავშვებს ვუყურებ ხოლმე ჰოკეის თამაშობენ. დაფრინავენ. დაფრინავენ მოედანზე. (პაუზა) ღამით მომწონს, ბოლოს როცა გადავატარებ მანქანას ყინულს. შეხედე ყინულს კაილინ.

კაილინი: დედაშენმა მითხრა რომ აქ შემეძლო შენი ნახვა. როგორ კარგად მექცევა. თითქოს არაფერი იცის. ან ყველაფერი იცის. შენ და შენი ოჯახი დაგი. ყველაზე სათნოები ხართ მსოფლიოში და მოგიწიათ ჩემი მატარებლის საცეცებში ჩათრევა.

დაგი: მატარებელს საცეცები არ აქვს.

პაუზა

კაილინი: დაგი... ამას რატომ აკეთებ?

არ პასუხობს.

კაილინი: სად ისწავლე ტელეფონის ანძაზე ასვლა?

დაგი: ადვილია ასვლა. ჩამოსვლა არც ისე. განსაკუთრებით როცა თავსხმა წვიმაა.

კაილინი: რატომ აძვერი.

დაგი: ტელეფონის წიგნაკში არ ეწერე.

კაილინი: დებილი ხარ.

დაგი: ალბათ.

კაილინი: ალბათ არა.

დაგი: იქნებ თუ შევძლებდი ტელეფონის ანძის ბოლოში ასვლას წვიმაში ღამე, როგორც დაკარგული გემის ანძა ზღვაში, იქნებ შენ ნათებას დავინახავდი, რომელიც უკან სახლში დამაბრუნებდა. (პაუზა) იქნებ…

კაილინი: (ჩუმად) რა სისულელა.

დაგი: მაგრამ ახლა აქ ხარ.

კაილინი: ხო. აქ ვარ.

კაილინი დაგს შეხედავს, დაგი კი ყინულს გახედავს. ხანგრძლივი პაუზა.

კაილინი: აქ მოვედი რომ ხელები დაგადო დაგი. მე არასდროს მჯეროდა, მაგრამ უნდა გავაკეთო... იმიტომ რომ თუ შენ გჯერა, იქნებ ეს საკმარისია.

დაგი არ პასუხობს, არც უყურებს.

კაილინი: მე შენ სანახავად ვიყავი მოსული როდესაც კომაში იყავი.

დაგი: შენ მითხარი რომ არ მოსულხარ.

კაილინი: მოვედი. მოვედი და გნახე. შეგეხე. თავს იდიოტად ვგრძნობდი, მაგრამ ვქენი. მაგრამ არაფერი მოხდა, ამიტომ ვიფიქრე რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო. მაგრამ შენი გაიღვიძე. გაიღვიძე იდიოტო. არ მჯერა ასეთი რაღაცეების ხო იცი დაგი? ენერგიის. განკურნებადი ძალების. მაგრამ ახლა მკიდია. ამ დებილურ ეტლში ზიხარ.

დაგი: როგორ შეგეძლო გეთქვა რომ არ მოსულხარ ჩემს სანახავად?

კაილინი: არ ვიცი, დაგ. მეკითხებოდი იმის შესახებ ვიყავი თუ არა მიზეზი რომ შენ სასწაულებისამებრ დაუბრუნდი ცხოვრებას. არ შემიძლია ვიყო მიზეზი შენი არსებობის. როგორ შევძლებდი ასეთი რამის გაკეთებას?

დაგი არაფერს პასუხობს და არც უყურებს.

კაილინი: დაგი...

დაგ: მართლა კარგად მოვაპრიალე ყინული.

კაილინი: (დგება) დაგ, ახლა შეგეხები. მითხარი სად. მითხარი სად.

დაგი: არ შემეხო.

კაილინი ჩერდება და დაგს უყურებს.

კაილინი: ვიცი. მაგრამ.. ვფიქრობ..

დაგი: არ შემეხო.

კაილინი: მინდა დაგი. მაპატიე რომ... მაპატიე ჩვენი მთელი ცხოვრების გამო.

დაგი: არ შემეხო კაილინ.

კაილინი არ ეხება. უბრალოდ უყურებს. დაგი არ უყურებს. კაილინი მის წინ იმუხლება და ხელს ბორბალს ადებს.

კაილინი: მაგის გამოც კიარა დაგი, ჩემს გამო. მარტო ჩემს. მე მხოლოდ...

კაილინი ხელს მაღლა წევს რომ მის სახეს შეეხოს, მაგრამ არ ეხება.

დაგი: (თითქოს სასოწარკვეთილი) გთხოვ.

კაილინი დგება და ისევ სკამზე ჯდება. სახეს ხელებში ჩარგუნავს ცოტა ხნით

.

დაგი: კარგად ვარ ასე. კარგად. არ მჭირდება სხვა არაფერი. გარდა იმისა ბავშვებს რომ ვხედავ როგორ დაფრინავენ ყინულზე. მე კი უკვე მოვრჩი ფრენას.

პაუზა

კაილინი: თავს ცუდად ვგრძნობ.

დაგი: აღებინე.

კაილინი: მინდა.

პაუზა

დაგი: გახსოვს...?

კაილინი: კი.

დაგი: მერე რა მოხდა.

კაილინი: არ ვიცი. ვიდექით და ვუყურებდით.

დაგი: გულისამრევია.

კაილინი: შენ გაწმინდე.

დაგი: მე?

კაილინი: ჰო, გარეცხე. მერე კი სათამაშო მოედანზე წავედით.

დაგი: საქანელაზე დავსხედით.

კაილინი: საქანელაზე დავსხედით. შენ აძვერი საქანელაზე და ჯაჭვს აქანავებდი ზევიდან. მე კიდევ გითხარი რომ დებილი იყავი და თავს გაიტეხდი. ჰოდა ჩამოხვედი. მერე კი საქანელაზე დავსხედით.

დაგი: რაზე ვილაპარაკეთ.

კაილინი: ღმერთო, არ ვიცი... ყველაფერზე ვილაპარაკეთ. იმდენ ხანს თან.. ცხოვრებაში ყველაზე გვიანობამდე მაშინ გავჩერდი. თითქმის დილა იყო როდესაც საქანელა დავტოვეთ. ციოდა და შენი ქურთუკი მომეცი რომ ჩამეცვა. სათამაშო მოედანი როგორი ლამაზი იყო მაშინ. ცა კი ლურჯად იწყებდა შეღებვას.

კაილინი და დაგი ყინულის მოედანს გახედავენ.